საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2016 წლის 9 თებერვლის

დადგენილება №1909

სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის
2016 წლის 28 იანვრის №1.2/124 ბრძანებასთან
დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

2016 წლის 01 თებერვალს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შემოვიდა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2016 წლის 28 იანვრის №1.2/124 ბრძანება „სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად ქეთევან ქოქრაშვილის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“. იმის გათვალისწინებით, რომ 2015 წლის 25-26 დეკემბერს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევა/დამტკიცება განხორციელდა კანონმდებლობის სრული დაცვით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის საფუძველზე **აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს „სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად ქეთევან ქოქრაშვილის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2016 წლის 28 იანვრის №1.2/124 ბრძანების გასაჩივრებასთან დაკავშირებით სარჩელის მომზადება და შესაბამისი პროცედურების განხორციელება;
2. ძალაში დარჩეს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 18 იანვრის №1894 დადგენილება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) მოვალეობის შესრულების ქეთევან ქოქრაშვილისათვის დაკისრების შესახებ.

აკადემიური საბჭოს სხდომის თავმჯდომარე ჯ. იოსებიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე